ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 53

სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის განათლებისა და გამოფენების განყოფილებაში სპეციალისტის (შტატგარეშე თანამშრომელი) თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

18 აგვისტო, 2017 ქ. თბილისი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 26 ივნისის №580 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 2 ოქტომბრის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-10 მუხლის მეორე პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2017 წლის 18 აგვისტოს გამოცხადდეს კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის განათლებისა და გამოფენების განყოფილებაში სპეციალისტის (შტატგარეშე თანამშრომელი) თანამდებობის დასაკავებლად:

1.1 **კონკურში მონაწილე კანდიდატთა მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო დოკუმენტაციაა:**

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.
- ავტობიოგრაფია (CV ფოტოსურათით).
- უმაღლესი განათლების(ჰუმანიტარული მიმართულების ბაკალავრი/მაგისტრი/დოქტორანტი) დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

1.2 **საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელი პირობა :**

- კულტურულ მემკვიდრეობასთან ან საგანმანათლებლო სივრცესთან დაკავშირებულ სფეროში სტაჟირების ან მუშაობის გამოცდილება.
- ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა (B2 დონის შესაბამისი);

0193 თბილისი, მ. ალექსიძის ქ., № 1/3
0193 Tbilisi, M. Alexidze str., № 1/3

ტელ./Tel.: (995 32) 247-42-42
ფაქსი/Fax: (995 32) 236-32-41
www.manuscript.ge
info@manuscript.ac.ge

1.3 გამარჯვებული კანდიდატის გამოსავლენად განისაზღვროს კონკურსის 2 ეტაპი:

- განცხადებების გადარჩევა
- გასაუბრება

1.4 დამატებითი ინფორმაცია იხ.დანართი 1

1.საბუთების მიღება იწარმოებს 2017 წლის 4 სექტემბერიდან 11 სექტემბრის ჩათვლით 11:00 სთ-დან 16:30 საათამდე, ცენტრის ადამიანური რესურსების მართვისა და მონიტორინგის კოორდინატორთან მისამართზე: თბილისი, მ. ალექსიძის ქ. № 1/3 ან გამოაგზავნონ შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე info@manuscript.ac.ge:

2. გასაუბრების ჩატარების დღედ განისაზღვროს 2017 წლის 14 სექტემბერი.
3. კონკურსის შედეგები გამოცხადდეს არაუგვიანეს 2017 წლის 19 სექტემბრისა.
4. ამ ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

   ა) **თამარ ჭუმბურიძე** - (ცენტრის საგარეო ურთიერთობათა, განვითარებისა და განათლების დეპარტამენტის უფროსი) - კომისიის თავმჯდომარე;

   ბ) **ვახტანგ კვანტალიანი** -(ცენტრის ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი) - კომისიის წევრი;

   გ) **ნესტან ბაგაური** - (ცენტრის განათლებისა და გამოფენების განყოფილების უფროსი) -კომისიის წევრი;

   დ) **მარიამ ჯაბიძე**- (ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ღონისძიებების სამსახურის უფროსი)-კომისიის წევრი;

   ე) **ვლადიმერ კეკელია**-(ცენტრის არქივთმცოდნეობის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი)-კომისიის წევრი;

   ვ) **ხათუნა გორდეზიანი**, (ცენტრის ადმინისტრაციული განყოფილების ადამიანური რესურსების მართვისა და მონიტორინგის კოორდინატორი) - კომისიის წევრი/მდივანი;

5. საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება წინამდებარე ბრძანების დანართით (დანართი 2).
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.:ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორის დ.მ.შ. *თამარ ჭოხონელიძე*